საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

# წლიური ანგარიში
# 2021

# 1. სერტიფიცირების და ტრენინგების მიმართულება

## შესავალი

ქვეყანაში პანდემიის გავრცელების მაქსიმალური პრევენციის მიზნით, 2021 წელს საგანმანათლებლო პროგრამები და ტრენინგების დიდი ნაწილი, ისევე როგორც საქმიანი შეხვედრების უმეტესობა, Zoom-ის პლატფორმის დახმარებით, ონლაინ ხორციელდებოდა.

## 1.1 სერტიფიცირების / ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება

2021 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ სასწავლო ღონისძიებებსა და ტრენინგებში სულ მონაწილეობა მიიღო 1092[1]-მა მსმენელმა.

**საცალო და კორპორატიული ტრენინგები**

| ტრენინგის დასახელება | ჯგუფების რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა | აუდიტორია - მონაწილე |
|---|---|---|---|
| რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში | 2 | 40 | საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი |
| მონაცემთა ვიზუალიზაცია | 2 | 30 | საჯარო/კერძო სექტორი (კორპორატიული ტრენინგი) |
| საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS) | 3 | 46 | საჯარო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სხვა |
| მართვის თანამედროვე პრაქტიკები და ლიდერობა | 1 | 12 | საჯარო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკული მხარე HR-ებისთვის | 1 | 12 | საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი |
| რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი - პრაქტიკული კურსი საჯარო და კერძო სექტორის აუდიტორებისთვის | 2 | 22 | საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური |

[1] მათ შორის 312 მსმენელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით | 1 | 15 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი / არასამთავრობო სექტორი |
| შესაბამისობის აუდიტი | 10 | 107 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| ფინანსური აუდიტი | 1 | 15 | ბუღალტრული აღირცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხევდელობის სამსახური, სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სხვა |
| აუდიტების ჩატარების გაცნობა აუდიტის მართვის სისტემაში | 1 | 20 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| პროგრამული ბიუჯეტირება | 2 | 38 | საჯარო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების ცვლილებების მიმოხილვა | 1 | 24 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი |
| ბიზნეს პროცესების მართვა  და ოპტიმიზაციიის პრაქტიკები | 1 | 8 | საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| სამართლებრივი აქტების მომზადების ტექნიკა/მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეებზე | 1 | 15 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოება | 1 | 10 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| მშენებლობის ნებართვების გაცემისა და სანებართვო პირობებზე ზედამხედველობის სამართლებრივი საკითხები | 1 | 10 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| მუნიციპალიტეტების მიერ იურიდიული პირების დაფუძნება და მართვა | 1 | 6 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| საზოგადოებასთან ურთიერთობა და სტრატეგიული კომუნიკაცია | 1 | 6 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| გუნდური მუშაობა და ეფექტური კომუნიკაცია | 1 | 10 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |

| | | | |
|---|---|---|---|
| კრეატიული აზროვნების მეთოდები გადაწყვეტილებებში | 1 | 6 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| ბიზნესის მხარდამჭერი მექანიზმები და სერვისები | 1 | 6 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა | 1 | 4 | რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (კორპორატიული ტრენინგი) |
| ინგლისურენოვანი ანგარიშების წერა | 1 | 13 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი |
| ტრენინგი საგრანტო განაცხადების წერაში | 1 | 9 | საჯარო აუდიტის ინსტიტუტი |
| ენობრივი საშუალებები აკადემიურ ტექსტში | 3 | 51 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| IT კონტროლების გავლენა შიდა კონტროლის გარემოზე | 1 | 16 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი | 3 | 60 | საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) / საჯარო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| პერსონალური მონაცემების დაცვა | 2 | 24 | საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) / განათლების სამინისტრო (კორპორატიული ტრენინგი) |
| ტრენინგი სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის | 4 | 92 | საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) (კორპორატიული ტრენინგი) |
| გრაფიკული დიზაინი | 1 | 17 | საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) (კორპორატიული ტრენინგი) |

| | | | |
|---|---|---|---|
| ეფექტიანი სატელეფონო მომსახურება და სერვის + | 1 | 9 | საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) (კორპორატიული ტრენინგი) |
| შეფასების სისტემა საჯარო სამსახურში | 1 | 9 | საჯარო სექტორი |
| ტრენერთა ტრენინგი (ToT) | 2 | 23 | საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერები (გასვლითი ტრენინგი) |
| ტესტის შექმნის მეთოდოლოგია | 2 | 23 | საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერები (გასვლითი ტრენინგი) |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე მიდგომები და ინსტრუმენტები | 1 | 7 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| მოხელის მენეჯერული უნარები | 5 | 56 | საჯარო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი | 12 | 169 | საჯარო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო კურსი | 3 | 52 | საჯარო/კერძო სექტორი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სტუდენტი / სხვა |



**აკრედიტირებული პროგრამები**

2021 წელს დაიგეგმა და განხორციელდა საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამები 225 საჯარო მოხელისთვის, მათ შორის, 56 გადამზადდა – მოხელის მენეჯერული უნარების და 169 – პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გადამზადდნენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებიც.




საბაზისო პროგრამებში მონაწილეთა 53% მამრობითი, ხოლო 47% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.



საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების  პროგრამებში, ჯამურად მუნიციპალიტეტის 210 თანამშრომელი გადამზადდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლებიდან 15 მოხელე.




საბაზისო პროგრამების ფარგლებში, მუდმივად ხორციელდება ტრენინგების მონიტორინგი და მსმენელთა  უკუკავშირის  ანალიზი. მიღებული შედეგების  საფუძველზე, აკრედიტებული პროგრამის მოდულები, ჰენდაუთები - სამუშაო დოკუმენტები და საგამოცდო ტესტები მუდმივად უმჯობესდება. პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით,  დამატებით შეირჩა ტრენერები. მსმენელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები შევიდა  ტრენინგის პროცედურებშიც.

**საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების პროგრამა**

სერტიფიცირების კურსი დაიხვეწა, სწავლების მეთოდი გახდა უფრო ინტერაქტიული და კურსის ხანგრძლივობა შემცირდა 2.5 თვემდე. საანგარიშო პერიოდში, კურსი ჩატარდა 3-ჯერ. გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის სესიებს ჯამში 52 ადამიანი ესწრებოდა.

2021 წელს  საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 4-ჯერ, მონაწილეობა მიიღო 76 პირმა, მათგან 32-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მიიღო საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

## 1.2 დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა USAID-ის მხარდაჭერით განახორციელა შემდეგი პროექტები:

**ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის  - ISO 9001:2015 - დანერგვა**

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა, USAID-ის დაფინანსებით საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის (ISO 9001:2015) სერტიფიკატი მოიპოვა.

ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის პროცესი საერთაშორისო საკონსულტაციო სააგენტოს URS (United Registrar of Systems) Georgia-ს ჩართულობით მიმდინაორებდა და მოიცავდა ინსტიტუტის ძირითად მომსახურებებს: სერტიფიცირება, ტრენინგები, ტესტირება და კონსულტირება. სერტიფიცირების ფარგლებში გადამზადებულმა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოიპოვეს ხარისხის მენეჯერისა და შიდა აუდიტორის სერტიფიკატი.

სერტიფიცირების დასკვნით ეტაპზე ჩატარებული აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ხარისხის მართვის სისტემა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტის (ISO 9001:2015) მოთხოვნებთან.

**საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების სახელმძღვანელო**

შემუშავდა საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო კურსის სახელმძღვანელო. აღნიშნული პროექტი ერთობლივად განხორციელდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ USAID-ის დაფინანსებით. პროექტი დაყოფილი იყო ხუთ ნაწილად, სერტიფიცირების სასწავლო კურსის მოდულების მიხედვით:

- ფინანსური აუდიტი;
- შესაბამისობის აუდიტი;
- ეფექტიანობის აუდიტი;
- საბიუჯეტო კანონმდებლობა;
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

აღნიშნულ პროექტზე, მოდულების მიხედვით  სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის  30 თანამშრომელი მუშაობდა.

საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სახელმძღვანელო ორ წიგნად არის დაყოფილი. პირველი წიგნი მოიცავს თემატურ მოდულებს: საბიუჯეტო კანონმდებლობასა და საჯარო სექტორის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას. პირველი წიგნი გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ მიერ იბეჭდება.

**საჯარო სექტორის სერტიფიცირებულ აუდიტორთა განგრძობადი სწავლების წესის შემუშავება**

საჯარო სექტორში სერტიფიცირებულ პირთა უწყვეტი განვითარების მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა, USAID-ის დაფინანსებით, შეიმუშავა სერტიფიცირებულ აუდიტორთა განგრძობადი სწავლება.

საჯარო სექტორის სერტიფიცირებულ აუდიტორებს ყოველწლიურად, საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად, განესაზღვრებათ სავალდებულოდ გასავლელი აქტივობები და სატრენინგო თემატიკა, რომლის შესრულების შემთხვევაში სერტიფიცირებული პირები შეძლებენ საჯარო სექტორში აუდიტორული საქმიანობის შესრულების უფლება შეინარჩუნონ უვადოდ.

**სტაჟირების პროგრამა**

საჯარო აუდიტის ინსტიტუტისა და USAID-ის სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, შემუშავდა სამუშაო აღწერილობა, გამოცხადდა კონკურსი, შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდათ ტესტირება და გასაუბრება. გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, სერტიფიცირებისა და ტრენინგების მიმართულებით ერთი სტაჟიორი დაკონტრაქტდა.

**ტრენინგები**

2021 წლის 23-24-25 ოქტომბერს კახეთში, USAID-ის დახმარებით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერებისთვის სამდღიანი ტრენინგი განხორციელდა. ტრენინგები ორ თემატურ მიმართულებას მოიცავდა - „ტრენერთა ტრენინგი“ (ToT) და „ტესტის შექმნის მეთოდოლოგია“. ტრენინგპროგრამა საჭიროებათა კვლევისა და ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა. ტრენინგებში 23 ტრენერი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორები და მოწვეული სპეციალისტები.

USAID-ის დაფინანსებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისთვის განხორციელდა 2 თვიანი ტრენინგკურსი - „ინგლისურენოვანი ანგარიშების წერა“. ტრენინგპროგრამა მოიცავდა ინგლისურენოვანი ანგარიშების სტრუქტურას, ლექსიკურ და გრამატიკულ მახასიათებლებს, რომლებსაც მოქმედი აუდიტორები სამუშაო პროცესში იყენებენ.

## 1.3 პროექტები

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 2021 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერში გიამარჯვა.

პროექტის მიზანს ადგილობრივი თვითმმართველობების საჯარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზების ძირეული ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენდა . კვლევის განხორციელების პროცესში სფეროს ექსპერტებთან ერთად ჩართულები იყვნენ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის თანამშრომელები. პროექტის ფარგლებში მომზადებული საბოლოო ანგარიშს დონორი ორგანიზაცია საჯარო ფინანსების გაუმჯობესების მიმართულებით გამოიყენებს.

## 1.4 საჯარო სექტორის დამოუკიდებელ აუდიტორთა საქმიანობის ანალიზი

საჯარო სექტორში დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ განხორციელებული აუდიტორული მომსახურების შესწავლის მიზანს წარმოადგენდა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სერტიფიცირებულ აუდიტორთა საქმიანობის სტატუსის დადგენა, თუ რამდენად შეძლეს მათ სერტიფიკატის მიღების შემდგომ აუდიტორული საქმინობის განხორციელება. ასევე საჯარო სექტორში დამოუკიდებელ აუდიტორთა მიერ განხორციელებული აუდიტორული საქმიანობის ანალიზი და კანონთან შესაბამისობა.

## 1.5 მემორანდუმი

2021 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრთან. მემორანდუმები ასევე გაფორმდა საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა და წამყვან საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებს შორის - PricewaterhouseCoopers-საქართველოსთან, BDO-საქართველოსთან, EY საქართველოსა და KPMG საქართველოსთან. ამჟამად საჯარო აუდიტის ინსტიტუტს საქართველოს მასშტაბით 33 კომპანიასთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი.

## 1.6 მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი განაგრძობს შემუშავებული საკომუნიკაციო სტრატეგიის შესრულებას. რებრენდინგის შემდგომ ეტაპზე მოხდა სამუშაო დოკუმენტების - ჰენდაუთების, პრეზენტაციების, ფორმების გადაწყობა ახალ დიზაინზე.

ინსტიტუტი აგრძელებს ვებ-გვერდის - www.sai.ge-ს ორენოვანი ვერსიაზე მუშაობას და წვდომის ოპტიმიზაციის სრულყოფას.

სოციალურ მედია-პლატფორმა Facebook-ზე შეიქმნა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის გვერდი, სადაც სისტემატურად ახლდება ინფორმაცია მიმდინარე ტრენინგებისა და პროექტების შესახებ.